დადგენილება:**დ-31. 31230392**
თარიღი:**08/02/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №4

2023 წლის 8 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში (სსმ, ვებ გვერდი 05.07.2022, სარ. კოდი 010250050.35.112.016497), კერძოდ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების წესი წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის, ორგ. კოდი 02 11) განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.“

ბ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წლის ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 11) და პარტნიორი ორგანიზაციიდან მოზიდული სახსრები, რომელიც უნდა შეადგენდეს პროგრამის საერთო ბიუჯეტის არანაკლებ 50%-ს.“

დ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუქნტი:

„4. ბენეფიციარი უფლებამოსილია განახორციელოს პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობა მის საკუთრებაში არსებული ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივებით პროექტის საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.“

ე) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-17 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 17. პროექტების დაფინანსების წესი**

2. მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი და დაფინანსების მოცულობა შეადგენს არანაკლებ 5000 და არაუმეტეს 15 000 ლარს.

6. მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის აღჭურვილობის შესყიდვითა და გადაცემის გზით.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი